პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 პარასკევი 15 აპრილი № 88 (16825) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ VIII ყრილობაზე

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოგესალმებათ რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნის“ VIII ყრილობის დელეგატებს და თქვენი სახით საზოგადოების ყველა წევრს — ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციის წარმომადგენლებს — მეცნიერებს, სახალხო მეურნეობის სპეციალისტებს, წარმოების მოწინავეებსა და ნოვატორებს, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, ამათ, ვინც ერთგულად ემსახურება მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდასა და პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად მასებს შემოქმედებითი აქტივობის ამაღლების საქმეს.

გამოჩენილ მეცნიერთა ინიციატივით ოცდაათი წლის წინათ შექმნილი საზოგადოება „ცოდნა“ გახდა იდეოლოგიური მუშაობის დიდმნიშვნელოვანი და ეფექტიანი ძალა, პარტიის საიმედო დასაყრდენი მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში.

მისი საქმიანობა მტკიცედ დამკვიდრდა ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში, იგი საბჭოთა ინტელიგენციის ნამდვილი ხალხური ხასიათის, პარტიის დიადი საქმისადმი ღრმა ერთგულების ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულებაა.

რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნის“ დღევანდელი ყრილობა შეიკრიბა ღირსშესანიშნავ პერიოდში, როცა სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შთაგონებული საბჭოთა ხალხი აქტიურად ახორციელებს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების დიად პროგრამას; ფართოდ აჩაღებს საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისთვის, მეათე ხუთწლედის — ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის გეგმისა და ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

დიდია რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნის“ წვლილი მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გავრცელების კეთილშობილურ საქმეში, პარტიის გადაწყვეტილებებით დასახული ჩვენი რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანების წარმატებით განხორციელებაში.

საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციების ამოცანაა მთელი თავიანთი მუშაობა კვლავაც განუყრელად დაუკავშირონ ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას, პარტიის XXV ყრილობის მიერ შემუშავებული თეორიული პრობლემების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში მოცემული დებულებებისა და დასკვნების, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების განმარტებას; ჩვენი საგარეო პოლიტიკის წარმატებების, სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების პროგრამის პრაქტიკული განხორციელების თანმიმდევრულ და ღრმა გაშუქებას.

საჭიროა უფრო მკაფიოდ და დამაკვირვებლად მიგიტანოთ მშრომელთა შეგნებამდე საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეები სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის ცხოველმყოფელი ძალა, კვლავაც ხელი შეეუწყოთ მასების შეიარაღებას მარქსისტულ-ლენინური თეორიით, მათი კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, ზნეობრივი ამაღლებისა და დარაზმვის ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი საზოგადოება „ცოდნას“ უსურვებს დიდ წარმატებებს მუშაობაში და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ იგი კიდევ უფრო ფართოდ გაშლის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდას, მიიღო თავის მდიდარ გამოცდილებას მოახმარს მშრომელთა პოლიტიკური, მეცნიერული ცოდნისა და კულტურული დონის ამაღლებას, ახალი ადამიანის აღზრდას; ღირსეულ წვლილს შეიტანს სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების წარმატებით განხორციელებასა და ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიად საქმეში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ VIII ყრილობა

14 აპრილს თბილისში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნის“ მერვე ყრილობა.

ყრილობა გახსნა რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარემ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ე. ხარაძემ.

ყრილობის პრეზიდიუმში არიან ა. ინაური, შ. კიკნაძე, გ. კოლბინი, თ. მენთეშაშვილი, ზ. პატარიძე, ჯ. პატიაშვილი, ვ. სირაძე, ე. შეკარდნაძე, ო. ჩერქეზიშ, საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ფიშვანი, საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ ეკონომიკის ინსტიტუტის „სლოვო ლექტორას“ მთავარი რედაქტორი ო. პოგოდინი, მინისტრები, თვალსაჩინო მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

აირჩიეს ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოები — საქმიანი პრეზიდიუმი, სამდივნო, სამანდატო და სარედაქციო კომისიები.

მქუხარე ხანგრძლივ ტაშში ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

დელეგატები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნის“ მერვე ყრილობაზე მოწვეულ ლ ი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. სირაძემ წაიკითხა.

დამტკიცეს შემდეგი დღის წესრიგი:

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის ანგარიში და საზოგადოების ამოცანები სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით;

რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნის“ სარედაქციო კომისიის ანგარიში;

საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები;

საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ მერვე ყრილობის დელეგატების არჩევნები.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა გამგეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ე. ხარაძემ.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თ. დავითაია, საზოგადოება „ცოდნის“ რუსთავის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი ს. ვასილეკა-ამირიძე, საზოგადოება „ცოდნის“ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი ბ. ძიძარია, საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის ლენინის რაიონული ორგანიზაციის ჯამეგობის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, ფოლად-დოფავსამსხმელო ქარხნის შეკოპე ვ. კურტანიძე, ამიერკავკასიის წყალელექტროშრომანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსი ი. ოვერჩუკი, მწერალი გ. ციცაშვილი, თელავის რაიონის იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის რექტორი გ. შათირიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ოკუჯავა, ახალგაზრდობას შორის ცოდნის პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარე, საზოგადოება „ცოდნის“ პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ვ. ბაქრაძე, საზოგადოება „ცოდნის“ სამხრეთ ოსეთის საოლქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე ს. გაბარაევი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის წევრი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კიროვის რაიონის პირველი მდივანი ნ. ნეფედოვი, ისტორიული ცოდნის პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. სურგულაძე, „საზოგადოება „ცოდნის“ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახოს პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე გ. ზანაქიძე, წიგნის მოყვარულთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჯ. ლომაშვილი.

ყრილობაზე გამოვიდა საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ფიშვანი.

ყრილობამ მოისმინა და მოწონა საზოგადოება „ცოდნის“ სარევიზიო კომისიის ანგარიში, რომელიც გააკეთა მისმა თავმჯდომარემ გ. ხომერიკამ.

სამანდატო კომისიის მოხსენება გააკეთა პროფესორმა ვ. ფარკოსაძემ.

ყრილობამ დამტკიცა ყოფილებად ცნო საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის მუშაობა საანგარიშო პერიოდში.

განხილულ საკითხზე მიღებულია რეზოლუცია.

ყრილობამ აირჩია რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის ახალი შემადგენლობა, სარევიზიო კომისია და საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ მუშადგი ყრილობის დელეგატები.

ყრილობის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით გაუგზავნეს წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

• • •

14 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პირველი პლენუმი.

გამგეობის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ე. ხარაძე.

თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩეულია დ. გოგობერიძე, თავმჯდომარის მოადგილეებად გ. ტატიშვილი, ჭ. ლორთქიფანიძე და ვ. ოკუჯავა.

საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის სწავლულ მდივნად არჩეულია შ. ნონაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩკარეული, საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ფიშვანი. (საქინფორმი).

ყვალ ჭაბათობაზე!

ვიმუშაოთ მაქსიმალური ნაყოფიერებით

ასე მზადდება დედაქალაქი

თბილისი შრომის ზეიმის მოლოდინშია. 16 აპრილს თბილისელები ამაყად, მხნედ და ხალისიანად მიაშურებენ შობლიურ საწარმოებს, სამშენებლო და სატრანსპორტო ობიექტებს, დედაქალაქის კეთილმოწყობისა და გამწვანებისათვის გამოყოფილ უბნებს. თბილისელ — მშრომელებს, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დიდი გეგმები აქვთ დასახული კომუნისტური შაბათობისათვის.

რა ღონისძიებები განახორციელეს, როგორ ემზადებოდნენ შრომის ზეიმისათვის და კონკრეტულად რა გეგმები აქვთ დასახული თბილისელ მშრომელებს შაბათობისათვის? — ამ კითხვებით მიმართეთ კომუნისტური შაბათობის მომწყობი საქალაქო შტაბის ხელმძღვანელს, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანს **გურამ გაბუნიას.** აი რა თქვა მან:

— წლევანდელი კომუნისტური შაბათობისათვის მზადება, განსაკუთრებული პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობდა. მის მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარების უზრუნველსაყოფად აღრევე შეიქმნა რაიონული შტაბები. შტაბები შეიქმნა თითქმის ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაშიც, მათ შეიმუშავეს კონკრეტული ღონისძიებები, რის საფუძველზეც შედგა ცალკეული რაიონების გეგმები.

შაბათობისათვის მზადების განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ყველა რაიონში. ლენინის რაიონში 16 აპრილს 90 ათასი კაცი მიიღებს მონაწილეობას შაბათობაში, შეიქმნება 2 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია, მათ მეათე ხუთწლედის ფონდში გადაწყვეტილი აქვთ გადარიცხონ 90 ათას მანეთზე მეტი თანხა. რაიონის სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებმა ამ დღისათვის 65 ათასი მანეთის სამუშაოების შესრულება იკისრეს.

ლენინის რაიონის მშრომელებს არც პირველი მაისის რაიონის მშრომელები ნამორჩენენ, მათ ვალდებულება იკისრეს შექმნან მილიონ 700 ათასი მანეთის პროდუქცია და ხუთწლედის ფონდში გადარიცხონ 72 ათასი მანეთი. შაბათობის დღეს ოქტომბრის რაიონში გადაწყვეტილი აქვთ 300 ათასი მანეთის პროდუქციის დამზადება. ხუთწლედის ფონდს შეეტანება 35 ათასი მანეთი. შრომის ზეიმის დღეს საქართველო რაიონის მშრომელები 800 ათასი მანეთის პროდუქციას დაამზადებენ და 70 ათას მანეთს შეიტანენ ხუთწლედის ფონდში.

შაბათობისათვის მზადებამ აგრეთვე მაღალი პოლიტიკური აღმავლობით ჩაიარა კალინინის, ორჯონიკიძის, 26 კომისრისა და კიროვის სახელობის რაიონებში. ამ რაიონების მშრომელებს გადაწყვეტილი აქვთ შექმნან 1.198 ათასი მანეთის პროდუქცია და მეათე ხუთწლედის ფონდში ვარაუდობენ 187,3 ათასი მანეთის გადარიცხვას.

განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ იმას, რომ საწარმოო, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციები ამ დღისათვის მასალებით შეუფერხებლად მომარაგდნენ. გამწვანების მიზნით გამოყოფილია ათეული ათასობით ნერგი. ყველაფერი მზად არის კეთილმოწყობის სამუშაოების ჩასატარებლად.

ცალკეულმა საწარმოებმა და მუშებმა გადაწყვეტეს 16 აპრილს გამოშვებული პროდუქცია მხოლოდ უმაღლესი ხარისხისა იყოს. პატრიოტული გალდებულება იკისრა ფაბრიკა „ისლის“ მოწინავე გამომკვეთმა, სახელწოდებით პრემიის ლაურეატმა გ. რომნისთაველმა. მან გალდებულება იკისრა ამ დღეს ბევრად მეტი ტყავის მასალა დაზოგოს, ვიდრე ჩვეულებრივ დღეებში.

თბილისელ მშრომელებს გადაწყვეტილი აქვთ შაბათობა ყველგან, ყველა საწარმოში ერთი დევიზით ჩატარდეს: „ვიმუშაოთ ეფექტიანად, მაქსიმალური ნაყოფიერებით“.

წლევანდელ შაბათობაში, წინასწარი მონაცემებით წინა წლის შაბათობასთან შედარებით 9 ათასით მეტი კაცი გამოვა. სულ 16 აპრილს შრომის ზეიმში 564 ათასი თბილისელი მიიღებს მონაწილეობას. 180 ათასზე მეტი კაცი ამ დღეს პროდუქციას გამოუშვებს, 383 ათასზე მეტი კი უშუალოდ ქალაქის კეთილმოწყობისა და გამწვანების საქმეზე იმუშავებს. დამზადდება 7.087 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო მეათე ხუთწლედის ფონდში 476,3 ათასი მანეთი გადაირიცხება.

ჯერის, 17 აპრილს კი ესტაფეტას ჩვენი დედაქალაქის სტუდენტი ახალგაზრდობა მიიღებს, რითაც ისინი თავიანთ წვლილს შეიტანენ ლენინურ კომუნისტურ შაბათობაში.

საქალაქო შტაბის და ადგილობრივი შტაბების მიერ წინასწარ გაწეული საქმიანობა საფუძველს გვძლევს ვთქვათ, რომ საიუბილეო წლისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 107-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა დედაქალაქში მაღალი პოლიტიკური აღმავლობით ჩატარდება.

ჩვენ კომუნისტური შაბათობაა. დილიდანვე ხაზეიმო განწყობილება დაეუფლება თბილისის ქუჩებსა და საწარმო-დაწესებულებებს. იმედია წლევანდელი შაბათობა კიდევ ერთ ხასხასელო ფურცელს ჩაწერს მდიდარი ტრადიციების მქონე ჩვენი ქალაქის მატიანეში.

ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას

14 აპრილს მოსკოვში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და ავღანეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების შესახებ.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მთავრობის სახელით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ა. სკაჩკოვმა, ავღანეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით დოქტორ ალი ახმედ ჯორამმა.

დოკუმენტის ხელმოწერას დაესწრნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეთა მოადგილეები, სხვა ოფიციალური პირნი;

ავღანეთის მხრივ — ავღანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი მუჰამედ დაუდი, ავღანეთის მინისტრთა მუჰამედ ხან ჯალალარი, წყლის რესურსებისა და ენერგეტიკის მინისტრი მოჰამედ მუჰამადი ჯუმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ვაჰიდ აბდული. (საკდესი).

ხუთწლედის აღამიანები

ფოთში ზღვის სანაპიროზე გემმარიხებზე ჩამწკრივებულა უამრავი თვალწარმტაცი თბომავალი „კომეტა“. ფოთის სერგო ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელი ქარხანა თერთმეტი წლის წინათ შეუდგა წყალქვეშა ფრთიანი თბომავლების გამოშვებას. ამჟამად ფოთელი გემთმშენებლების ჩქაროსნულ კომფორტულ გემებს, რომელთაც გასულ წელს ზაგრების (იუგოსლავია) საერთაშორისო ბაზრობაზე ოქროს მედალი მიენიჭათ, იძენენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნების ფირმები.

ხახელოვან ფოთელ გემთშემკეთებელთა წარმომადგენელია მეგალვანე რ. კუპრაძე. ამ კოხტა „კომეტების“ შექმნაში მისი ხელიც ურევია. იგი ხაპირველმაისო ვახტზე დგას და ყოველდღიურ დავალებებს 110-115 პროცენტით ასრულებს.

• • •

სურათზე: გემთშემკეთებელი ქარხნის მეგალვანე რ. კუპრაძე.

ი. ჰუხუნელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

იდეოლოგიური კადრების სწავლება

გაიმართა პარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტების, რაიკომების იდეოლოგიის საკითხთა გამგებელი მდივნებისა და პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების სკოლის მორიგი მეცადინეობა იდეოლოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის თეორიის, მეთოდიკისა და პრაქტიკის აქტუალური პრობლემების შესწავლის საკითხებზე. სკოლა შექმნილია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებასთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ინსტრუქტორის ნ. ბ. ჟუკოვას გამოსვლა მიეძღვნა ხალხური შემოქმედების განვითარებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის პრაქტიკის საკითხებს. მოხსენება თემაზე „პრესა, ტელევიზია და რადიო — მშრომელთა კომუნისტური აღზრდის მძლავრი საშუალებები“ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ნ. ენუქიძემ.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად წიგნის გამომცემლობის მუშაობის აქტუალური საკითხების, პარტიული კომიტეტის იდეოლოგიური მუშაობის პერსპექტიული და მიმდინარე დაგეგმვის გამოცდილების, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა პარტიული ხელმძღვანელობის პრაქტიკის შესახებ ილაპარაკეს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორმა ე. ს. მაღრაძემ, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ზ. დ. გუგკაევმა, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ა. ნ. იმედაშვილმა.

მეცადინეობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. მ. სირაძე. (საქინფორმი).

კულტურის ოსტატები — დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს

ყოველთვის ერთად...

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მწერალთა კავშირების გამგეობათა სამდივნოების გაერთიანებული სხდომა

„ყველგან მხოლოდ ერთად, ყოველთვის მხოლოდ ერთად...“ სამედ ვურღუნის ლექსის „კაზაფხულის ფიქრების“ ეს სტრიქონები ამიერკავკასიის ლიტერატორთა შეხვედრის ლეიტმოტივი გახდა. ეს შეხვედრა გაიმართა დიდი პოეტის სამშობლოში, „ჯაზის რაიონის ხოფელ იუპარი-სალაჯილში. ღირსშესანიშნავია, რომ სწორედ აქ, ამიერკავკასიის საჭი რესპუბლიკის გზაჯვარედინზე, ხაბეოთა ხალხების მეგობრობის შთაგონებული მომღერლის მიწა-წყალზე შეიკრიბნენ მწერლები, რათა განიხილათ მოძმე ლიტერატურების ურთიერთკავშირის შემდგომი განმტკიცების საკითხები.

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მწერალთა კავშირების გამგეობათა სამდივნოების გაერთიანებულმა სხდომამ განიხილა მწერალთა ორგანიზაციების საერთო ღონისძიებანი დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წინ.

მეესალმა რა სტუმრებს, აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ამრან კასუმოვმა გამოთქვა რწმენა, რომ მრგვალ მაგიდასთან ეს სკა-ბაასი ხელს შეუწყობს ამიერკავკასიის მწერალთა დიდი ხნის მეგობრობის განმტკიცებას, რომელშიც მკაფიოდაა ხორციშესხმული ჩვენი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ძმობა. კულტურათა ეს სოლიარი ერთობა, რომელსაც უკვე სამოცი წელია დიდი ოქტომბრის იდეები აცისკროვნებს, ბრწყინვალედ განვითარდა საბჭოთა ეპოქაში, ჯახდა ჩვენი საზოგადოების ზნეობრივი ცხოვრების ნორმა.

მოძმე რესპუბლიკების ლიტერატორებს გულითადად მიესალმნენ სომხეთის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ვარდკეს პეტროსიანი და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი გიორგი ორჯონიკიძე. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების მწერალთა ორგანიზაციების ერთობლივი აქციები ღირსშესანიშნავი თარიღის წინ ხელს შეუწყობენ მოძმე ლიტერატურათა ურთიერთგაღრმავებას კაძლიერებას.

სხდომაზე დაამტკიცეს საბელოვანი ოუბილესათვის ერთობლივი მზადების პროგრამა. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა გახდება ამიერკავკასიის ხალხთა პოეზიის დღეები, რომლებიც შემოდგომაზე გაიმართება საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. მათში მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის ლიტერატორებიც, რომელთა შემოქმედება მჭიდროდაა დაკავშირებული ამიერკავკასიის ლიტერატურებთან.

ქუთაისში მოეწყობა რეგიონალური პოეზიის დღესასწაული — მაიაკოვსკის დღეები, რომლებზეც სომეხი და აზერბაიჯანელი პოეტებიც გამოვლენ. სომეხი ლიტერატორები კი უმასპინძლებენ მხატვრული თარგმანის ოსტატებს. ეს შეხვედრა მოეწყობა საბჭოეთის ეროვნულ ლიტერატურათა ურთიერთობის განმტკიცების ნიშნით.

ოქტომბრის რეგიონალის წლისთავის აღსანიშნავად გამოვა მთელი რიგი საიუბილეო გამოცემები, რომლებიც მკითხველებს გააცნობენ მომძე რესპუბლიკების მწერალთა ნაწარმოებებს.

ამგვარი გამოცემები და პუბლიკაციები, ხაზგასმით აღინიშნა სხდომაზე, უნდა ხორცელდებოდეს მუდამ. ჯახდეს ტრადიციული. ამისათვის კი საჭიროა საგულდაგულოდ იქნეს შერჩეული გამოსაცემი ნაწარმოებები, რომ ისინი სრულად ასახავდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს. ახალ ნაწარმოებთა უფრო დეტალური გაცნობისათვის მწერალთა კავშირებს შეუძლიათ გამოუშვან სინფორმაციო ბიულეტენები. ამ მიმართულებით კარგი გამოცდილება აქვს საქართველოს მწერალთა კავშირს, სადაც შექმნილია ლიტერატურული ურთიერთობისა და მხატვრული თარგმანის მთავარი სარედაქციო კოლეგია.

ყოველი მნიშვნელოვანი ნაწარმოების თარგმნა, — თქვა სომხეთის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ლევონ მკრტჩიანმა, — ეს არ არის ამა თუ იმ მწერლის პატივისცემა, არამედ ჩვენი შინაგანი მთიანეულობაა, რადგან ამით კონკრეტული სარგებლობა მოგვაქვს საკუთარი ლიტერატურისათვის. შეგვაყავს იგი საერთო ლიტერატურულ პროცესში. სომხეთის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნის ამ აზრს შეკრებილებმა მხარი დაუჭირეს.

ამასთან დაკავშირებით სხდომაზე დიდი ყურადღება დაეთმო მხატვრული თარგმანის პრობლემებს. კერძოდ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ნაწარმოება ითარგმნოს უშუალოდ ორიგინალის ენიდან, ბეკარედის გარეშე. უფრო მკაცრად უნდა მოვეკიდოთ ამ დიდი მუშაობის ხარისხსაც.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნებმა ნოდარ ღუბაძემ და გიორგი ციციშვილმა, აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ელჩინ ეფენდიევემ, სომხეთის მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა რაჰია ოგანოსიანმა და აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ნარიმან გასანზადემ აღნიშნეს, რომ მტკიცდება ამიერკავკასიის რესპუბლიკების სტაყვის ოსტატთა კონტაქტები და ხაზი გაუსვეს, რომ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ჯერ კიდევ არის გამოოყენებელი რეზერვები. მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ამა თუ იმ პოეზიის დღეებთან ერთად შემოგვეღო მომძე რესპუბლიკებში მწერალთა ინდივიდუალური შემოქმედებითი ანგარიშები, რომელთა შემდეგ მოეწყობა მათი ნაწარმოებების განხილვა. ამ დარგში ბევრი რამ უნდა გაკეთოს მწერალთა კავშირებთან არსებული მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბიუროებმაც.

შეხვედრაზე დიდი ყურადღება დაეთმო მწერალი ახალგაზრდობის ჩამოყალიბების საკითხებს. მის იდეურ და შემოქმედებით ზრდაში, საბჭოთა პატრიოტიზმის, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მათს აღზრდაში დიდი როლი უნდა შეასრულოს მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის ამიერკავკასიის მწერალთა ურთიერთკავშირმა. ასეთი კონტაქტების განმტკიცებას ხელს შეუწყობს კრებულების „ახალგაზრდა ხმების“ გამოცემაც, რომელთა ფურცლებზე წარმოდგენილი იქნება საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ლიტერატორთა ნაწარმოებები და ახალგაზრდობისათვის მეგობრობის მაგალითი გახდეს მისი ისეთი შთაგონებული მომღერლები, როგორიც იყვნენ სამედ ვურღუნი, ეღიშე ჩარენცი, გალაკტიონ ტაბიძე! — თქვა პოეტმა მორის ფოკუხიშვილმა.

სხდომაზე დასახეს მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამიერკავკასიის ლიტერატურებისა და მათი ოსტატების ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

შეხვედრის მონაწილეებმა ყვავილებით შეამკეს სამედ ვურღუნის ძეგლი. ბევრი ხალხი იყო პოეზიის სახლში გამართული პოეზიის ინტერნაციონალურ საღამოზე, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პოეტური სიტყვის ოსტატები, საუამო გახსნა პოეტმა ჯაბირ ნოვრუზოვმა, რომელიც გულითადად მიესალმა ძვირფას სტუმრებსა და იუპარი-სალაჯილის მცხოვრებლებს — დიდი ვაგიფისა და სამედ ვურღუნის თანამემამულეებს.

გამოცდის ჩაბარება იმ მხარეში, სადაც, თითქოს, პეიერიც კი პოეზიითაა გამსჭვალული, — განსაკუთრებით საპატიო და პასუხსაგებია. და მით უფრო ძვირფასი იყო მჭუხარე ტაში, რომლითაც მსმენელები შეხვდნენ ისა ისმაილზადეს, შოთა ნიშნიანიძის გამოსვლებს, რომელმაც წაიკითხა ვაგიფის ლექსის საკუთარი თარგმანი, რაჩია ოვანესიანის, ფიქრეთ სადიხის, არმაის საკიანის, ნარიმან გასანზადეს, ალექსანდრე ხალდეევის გამოსვლებს. ამ უკანასკნელმა შეკრებილთ გააცნო სულეიმან რუსტამის ლექსების თარგმანი, მორის ფოკუხიშვილისა და ლეილა ერაძის გამოსვლებს, რომლებმაც ქართულად წაიკითხეს სამედ ვურღუნის შთამაგონებელი ნაწერები. მათთან ერთად გამოვიდნენ პოეზიის დღეალმრიცი მოყვარულნიც — ჟურნალისტი ალადინ გასანოვი და მოსწავლე რასამ ყურბანოვი.

ამ შეხვედრის სამახსოვროდ პოეტებმა კოლმეურნეებს მიართვეს თავიანთი ლექსები ტომები. მათ შეავსეს პოეზიის სახლის წიგნთა კრებული, სადაც სიყვარულით ინახება საბჭოთა ლიტერატურის ბევრი გამოჩენილი ოსტატის სამახსოვროწარწერიანი წიგნები. ზოგიერთმა მათგანმა აქ თავისებური „მწვანე ავტოგრაფებიც“ დატოვა, ხეები დარგა სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის ხეივანში.

თეთრ-ვარდისფერ სამოსელში გახვეულა გაზაფხულის ამ შესანიშნავ დღეებში „ჯაზის ბარაქიანი მიწა-წყალი. ლიტერატურის ხეივანში გაკვირტულან ნერგები. მზისკენ მიილტვის, ჯან-ღონით ივსება პოეზიის მარად ახალგაზრდა ხე. (აზერბაიჯანფორმი).

ქ. კაზახი.

საქართველოს სსრ მასწავლებელთა IV ყრილობის შესახვედრად

მუხაესტატელთა ინიციატივა

სკოლას — სახალხო ფრუნვა

მუხაესტატე ქობულეთის რაიონის ერთ-ერთი ეკონომიურად ძლიერი და თვალწარმტაცი სოფელია. ზღვასავით გაშლილი ჩაის პლანტაციები და მწვანედ მობიბინე ციტრუსები, ქვიტკირის ორსართულიანი ოდა სახლები და მოასფალტებული გზები. სოფლის ცენტრი დაბას წააგავს, ვეებერთელა კლუბ-კინოთეატრი, უნივერმაღი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი და მრავალი სხვა ნაგებობა, მაგრამ მუხაესტატელებმა ყველაფერზე უწინ სკოლის შენობაზე იფიქრეს, ამ ეიოდნის ტაძარზე, სადაც მათი შვილები უნდა დაფრთიანდნენ და გზა დიდი ასპარეზისაკენ გაიკაფონ. იფიქრეს და შესანიშნავი კაპიტალური შენობაც ააგეს. მაგრამ არც ამას დასჯერდნენ. მუხაესტატელებმა ახლახან შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს.

მოვუსმინოთ მათ:

თაოსნობა

„ახლა, — ნათქვამია მიმართვაში, — როცა ჩვენ ყველანი სოციალისტური რეგიონალიზაციის მე-60 წლისთავის საიუბილეო შრომითს ვეახლეთ, ყველა ჩვენს მიღწევას ამ თარიღს ვუძღვნით. ჩვენმა მშრომელებმა ბევრი რამ გააკეთეს. სოფელში ავაგეთ სკოლის ორი კაპიტალური შენობა, მაგრამ მიღწეულს როდი ვჯერდებით და სკოლაზე ზრუნვას ამით როდი ვწყვეტთ! ბოლო დროს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაფართოებლად გამოიყო 112.500 მანეთი, შეკეთდნეთ ინვენტარი, მუსიკალური ინსტრუმენტები. გარდა ამისა სკოლის შენობას მიუშენდება მთელი კორპუსი 12 ოთახით, სპორტული დარბაზი, სასადილო, ლითონზე მუშაობის სახელოსნო.

კიდევ რითი შეიძლება დავეხმაროთ სკოლებს? აი კითხვა, რომელმაც დაგვაფიქრა. გადავწყვიტეთ ყველა მოსწავლეს კოლმეურნეობის ხარჯზე შეეფეძნოთ სახელმძღვანელოები. მოსამზადებელი ჯგუფის პირველკლასელები ეზრუნველყოთ ერთჯერადი კვებით...

მომართვას კოლმეურნეთა დავალებით ხელს აწერდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე თ. მენაღარიშვილი. პარტიული კომიტეტის მდივანი რ. ჯოგიტიძე, სოციალისტური შრომის გმირი ნ. ჯინჭარაძე და სხვები.

შესანიშნავი ინიციატივა უმალვე გახმაურდა. პარტიის აქტივის სოლჩო კომიტეტმა მოიწონა მუხაესტატელთა თაოსნობა და რეკომენდაცია მიაცა სხვა კოლმეურნეებს — მიბაძონ ინიციატორებს.

ქობულეთის რაიონში მუხაესტატელებს უმალვე გამოეხმაურნენ ბობოყვათელები, ხუცუბანელები. ინიციატივამ ფრთები გაშალა ხელვაჩაურის რაიონის მეჯინისწყლის, ჯონიოს, ახალსოფლის და სხვა კოლმეურნეობებში.

მოსწავლეები ზრუნავენ მომავალ თაობაზე ზრუნვაა. სკოლაზე ზრუნვა ორივე საკუთარ ოჯახზე ზრუნვაა. ეს ჯარადე აქვთ შეგნებული ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების კოლმეურნეებს. ამიტომაც არის, რომ ამ რაიონებში თარეთოდ არის გაშლილი საინიციატივო მშენებლობანი.

მზრუნველობასა და ამაგს მომავალი თაობა კარგი სწავლითა და ნაყოფიერი შრომით უპასუხებს. მარტო ის რა ბევრის მომქმელია, რომ მოსწავლეთა ხელით ყოველწლიურად იკრეფება თასობით ტონა ჩაი და ციტრუსები.

ახალ ინიციატივას სხვებმაც უნდა აუბაძონ მხარი.

მ. ბოგრგილაძე.

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ოქტომბრის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა საორგანიზაციო საკითხი.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ამხ. ნ. ი. ლაღიძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის თბილისის ხალაქალის კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. თ. ნ. მენთეშაშვილმა. (საინფორმი).

პ. ანგელინას პრიზი — ლუიზა წყაროზიას

მოსკოვი. („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ მექანიზატორ ქალთა ჯგუფი დაჯილდოვა პირველი სტახანოველი ქალის პაშა ანგელინას შრომის დიდების პრიზით.

ეს პრიზი 1973 წელს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალურმა საბჭომ და საკავშირო ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა დააწესეს. პრიზი ყოველწლიურად გადაეცემა იმ მექანიზატორ ქალებს, რომლებმაც ნაკვერი ვალდებულებების შესრულებისათვის თავიანთი თავდადებული შრომით წარმატებებს მიაღწიეს.

ამ დღეებში ტრადიციულად სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიკრიბნენ ყველა რესპუბლიკიდან ჩამოსული გამარჯვებულნი. მათ გულთბილად მიესალმა და წარმატებებში ულოცავდა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ვ. მესიაცმა. საზეიმო ვითარებაში გმირ ქალებს გადაეცათ შრომის დიდების პრიზები. დაჯილდოებულთა შორის, სოფელ შამგონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორი ლუიზა წყაროზია.

ჩვენ შეეხვედით სახელოვან ქართველ მექანიზატორ ქალს, მიგულოცეთ ახალი ჯილდო და ვთხოვეთ გამოთქვა აზრი.

აი რა თქვა მან: მე ბედნიერად ვთვლი თავს, რომ გადმოგცეს სახელოვანი სტახანოველი ქალის პ. ანგელინას სახელობის შრომის დიდების პრიზი. ჯილდო ბევრს გვიჯილდებს.

მახსენდება მექანიზატორის პირველი ნაბიჯები, პირველი გამარჯვება და წარმატების შედეგად გამოწვეული სიხარული. ჩვენს ოჯახს მექანიზატორების ოჯახს ეძახიან. ჩემ გარდა ხუთი ძმა არის დაფიქლებული მექანიზატორის რთულსა და საპატიო პროფესიასაც. ენერგიის დაუზოგავად ვიშრომეს, მანქანათ სულ უფრო მეტ ჩაის ფოთოლს მოვკრეფ, რომ ახალ-ახალი მიღწევებით შევხვდე დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს.

დ. მაჭავარიანი.



ჩვენს ქვეყანაშიც და ხაზღვარგარეთაც მეტალურგიულ, ხამთამადნო და ქიმიურ მრეწველობაში ეფექტიანად მუშაობენ საწარმოებისა და ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემები, რომლებიც სახეობათა კავშირის საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის რუსთავის სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-ხაკონსტრუქტორო ინსტიტუტის სპეციალისტებმა შეიმუშავეს.

რუსთაველი მეცნიერებისა და ინჟინრების მიერ ამ ბოლო დროს შექმნილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომია ლითონპროდუქციის ხიგრძისა და თეორიული წონის ზუსტი განსაზღვრის ავტომატიზებული სისტემა „ანგსტრემი“.

„ანგსტრემის“ მართვის ავტომატიზებული სისტემის შექმნისათვის შემქმნელთა ჯგუფი — ო. ხულაძე, კ. კახელაძე, რ. თხელიძე, მ. მინდელი, თ. ძაგანია, ა. ახობაძე და პ. წერეთელი წარდგენილი არიან საქართველოს სსრ 1977 წლის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად.

სურათებზე: პროექტის მთავარი კონსტრუქტორი თამაზ ძაგანია (მარჯვნივ) და უფროსი ინჟინერ-კონსტრუქტორი ვექტორ ავრიშკოვი.

მ. დუთიკაშვილისა და ე. ებანოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ინსტიტუტი — სკოლას

თელავი. (ხაკ. კორ.). ლაფანყოფი რაიონის ცენტრიდან დაშორებული მთის სოფელია. ამ სოფლის საშუალო სკოლაზე შარშან შეიფობა აიღო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტმა (დირექტორი აკადემიკოსი ფ. თავაძე). ამ დღეებში სკოლას ეწვია ინსტიტუტის დელეგაცია.

სტუმრები გაეცნენ სკოლის საქმიანობას. დაათვალიერეს კაბინეტ-ლაბორატორიები, ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტები გაამდიდრეს ხაჩუქრად ჩამოტანილი რეაქტივებითა და მოწყობილობებით.

დელეგაციის ხელმძღვანელი პროფესორი ლ. ოკლეი მასწავლებლებსა და უფროსი კლასების მოსწავლეებს ესაუბრა თემაზე „მეტალურგიის განვითარება საქართველოში“.

სკოლის დირექტორმა ვლ. წვეროშვილმა სტუმრებს გააცნო სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობა და აღნიშვნა, რომ ძალონეს არ დაიშურებენ, რათა გაამართლონ შეფების ზრუნვა.

ოფიციალური განყოფილება

ჯანმრთელობის დაცვა — დიდი საზრუნავი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა და ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიების გაერთიანებული სხდომა. რომელმაც განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება რესპუბლიკაში საქართველოს სს რესპუბლიკის კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. საკანონმდებლო განზრახულობათა მოემზადა კომისიის წევრის დეპუტატ ვ. ჩხაიძის მოხსენებაში აღინიშნა, რომ რესპუბლიკის საბჭოთა, სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები გარკვეულ მუშაობას უწევენ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკის კანონის მოთხოვნათა განსახორციელებლად.

სისტემატურად იზრდება ასიგნებათა ოდენობა ჯანმრთელობის დაცვისათვის. უკანასკნელი წლების მანძილზე მწყობრში ჩადგა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების 85 ობიექტი, მნიშვნელოვნად განმტკიცდა ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გაიზარდა სამედიცინო რაოდენობა. პრაქტიკაში ინერგება დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე ორმრმები და მეთოდები. გაფართოვდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ქსელი.

თუმცა გარკვეული დადებითი ძვრები მოხდა. ამ მიმართულებით მუშაობაში მაინც არის დარღვევები და ნაკლოვანებები.

ბევრი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება არ შეესაბამება სანიტარული ნორმებს. ამ ნაკლოვანებებს ადგილობრივ ხელისუფლებანი ნელა აგვარებენ. ეს ეხება ბორჯომის, ახალციხის, ფოთის, ზესაფრის, ლაგოდეხის, ამბროლაურის, სიღნაღის, ხაშურის, მარნეულისა და სხვა რაიონები). დამაკმაყოფილებელი არ არის აფთიაქების მატერიალური ბაზის მდგომარეობა.

რესპუბლიკაში მრავალი წლის მანძილზე ვერ სრულდება სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მშენებლობის სახელმწიფო გეგმა.

ნაკლოვანებებია გურჯაანის, ყვარლის, დმანისის, მარნეულის, ახმეტის, ლაგოდეხის, ასპინძის, ლანჩხუთის, წყალტუბოს, გეგეჭკორის და სხვა რაიონებში სამედიცინო ადრების განაწილებისა და სამოშაოზე მათი შინარჩენების საქმეში. განსაკუთრებით ცუდი ვითარება შეიქმნა მაღალმთიან რაიონებში.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არაერთი გვიანი, რომლებიც ითვალისწინებს იქმედისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის ეკონომიკურ ინტერესებს.

ნაკლოვანებებია სამამული ომის ინვალიდების სამედიცინო მომსახურების საქმეშიც. სამამული ომის ინვალიდები ჯერ კიდევ სრულად ვერ სარგებლობენ კანონით გათვალისწინებული შეღავათებით.

თუმცა შედარებით გაუმჯობესდა მდგომარეობა, მაგრამ რესპუბლიკაში დღისა და ბავშვის სამედიცინო მომსახურების დონე ჯერ კიდევ არსებულ შესაძლებლობებზე ეფერ დაბალია.

რესპუბლიკის მეტი წილი საწარმოები და დაწესებულებები ეიკავენ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკის კანონის მოთხოვნას, რომელიც შეეხება ფეხმძიმე ქალებისა და ან დედების შრომისა და დასვენების შესაბამისი პირობების შექმნას, რომლებსაც ძუძუთა ბავშვები ჰყავთ. ამასთანავე ზოგიერთ საწარმოში ირღვევა კანონის შესაბამისი მოხლეთის მოთხოვნები (კრწანისის ზონალური ავრორიმიერი ლაბორატორია, სართიჭალის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა, მეევნახეობისა და მეხილეობის ტრესტი მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი და სხვ.).

სერიოზული ნაკლოვანებებია ოადგმყოთოთა ქვეშ საქმეშიც. საავადმყოფოებში ჭირძიანის მომზადებასის ზშირად ეკიდეკენ სანიტარიოლ-ტექნოლოგიურ და სანიტარიოლ-ჰიგიენურ ნორმებს. საავარო ორგანიზაციებისა და სამეურნეო მოშაკების აუფყობელი მუშაობის შედეგად სამედიცინო დაწესებულებები არ იღებენ საკმარისი რაოდენობის ბორკს, რძეს, ყვერცხს, ხილს, ბოსტნეულს, მწვანილს, კარტოფილს და სხვ.

ირღვევა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკის კანონის მოთხოვნა მოსახლეობის სანიტარიოლ-ეპიდემიური ეთილდეფეიბის უზრუნველყოფისათვის. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოები სრულად არ იყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებებს. რის შედეგადაც მათს სანქციებს ჭირვეულობით სათანადო ეფექტი არ მოჰყოლია.

რესპუბლიკაში სისტემატურად არ სრულდება საკანონმდებლო ჩსელისა და საწმენდი ნაგებობების მშენებლობის სახელმწიფო გეგმა. ამ მხრივ დამაკმაყოფილებელი არ არის საქმის მდგომარეობა ხორცისა და რძის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებში, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკაში“, საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირში“, ჩიათურის მანგანუმის კომბინატში, ენგურის ელექტროენერგეტიკულ-ქიმიურ კომბინატში და სხვა ობიექტებზე.

ჯერ კიდევ აღმოუფხვრელი არ არის სანიტარული ნორმების დარღვევის შემთხვევები ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სისტემაში. მეტი წილი ობიექტებისა ძველ ამორტიზებულ შენობებშია მოთავსებული. ისინი უზრუნველყოფილნი არ არიან ამდენნარი ცხელი, ხოლო ზოგჯერ ცივი წყლითაც კი. არა აქვთ სამაცივრო მეურნეობა. ირღვევა სარსაო-სანოვაგის შენახვისა და რეალიზაციის ვადები. აშკარათად იწყობა ფიქრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკთა საეიდებელო სამედიცინო შემოწმება.

სერიოზული ნაკლოვანებებია სამეურნეოშიდაო საშუალებებით მოსახლეობისა და სამედიცინო დაწესებულებების უზრუნველყოფის საქმეში.

მომარაგების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამო ბევრი საბითიაქო სამმართველო უზრუნველყოფილი არ არის სამკურნალო-ეი ბრეპარატებით, რომლებიც საკმარისი რაოდენობით აქვთ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ საფთიაქო სამმართველოში.

ზემოთ აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებების მიზეზი ძირითადად ის არის, რომ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებე, რესპუბლიკის სამინისტროები, უწყებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები ჯერჯერობით ვერ ეკიდებიან ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკის კანონის მოთხოვნათა განუხრელ შესრულებას, ხოლო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მუშაობის ხარისხი შესაბამისმა სამსახურებმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს მუშაობა კანონის მოთხოვნათა შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა და ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიების ერთობლივ სხდომაზე მიღებულ იქნა შესაბამისი დადგენილება.

ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ: ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ს. რიგვავა, რესპუბლიკის საბჭედრო კომისარი ვ. მესხრიძე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ი. ზედგინიძე. სამედიცინო მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე კ. გოგგოძე, მაღლაკის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ტ. შარავაძე, თბილისის ცხინვალის ტრანსპორტის მუშა ნ. არმაგანოვი და სხვები.

მუშაობის შედეგები შეიჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ ჯ. პატარაშვილმა.

კომისიების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამბ. თ. ლაშქარაველი.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 13 აპრილის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოდა ამხ. გიორგი სოლომონის-ძე ჭოველიძე, — საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ადმინისტრაციული და სავაჭრო-საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგე, — პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით.

ჟურნალისტიკა — ფაქტები, ფაქტები, ფაქტები

„კომუნისტის“ ფოსტიდან

● ცაგერი. ტყიშის სასოფლო კლუბში საზოგადოებრივი მართლწესრიგის განმტკიცებისა და სისხლის სამართლის საკითხებზე მოეწყო კითხვა-პასუხის საღამო.

დამსწრეთა შეკითხვებს პასუხები გასცეს: რაიონის პროკურორმა ვ. ქაქულიამ, სახალხო მოსამართლემ ვ. ჭაბუკიანმა, იურიდიული კონსულტაციის გამგემ ლ. ბერეჩაშვილმა, მილიციის უფროსმა ა. ჩიქოვანმა და მოქალქეთა მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროს გამგემ ც. ყურაშვილმა.

ნ. ჩაკვეტაძე.

● ცხინვალი. ქერთის ხაშუალო სკოლასთან არსებული პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტში ხშირად იმართება თემატური საღამოები და ლექციო-საუბრები.

მოზარდი თაობისა და ადამიანის ესთეტიკური აღზრდის საკითხებს მიეძღვნა თემატური საღამო: მოსმენილი იქნა ლექციები თემებზე: „საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმობისა მდგომარეობა“, „ოჯახის როლი მოსწავლეთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში“, „ზნეობრივი აღზრდა ოჯახში“.

სახალხო უნივერსიტეტის ხშირი სტუმრები არიან ხამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორ-მასწავლებლები.

მ. მაგლოფშვილი.

● ზუგდიდი. რაიონის სამგზავრო საკვანძო ავტოსადგურის (უფროსი ბ. შურღაია) კოლექტივი სოციალისტიკრებაში ჩაბმულია ცხაკაიელ და ქუთაისელ კოლეგებთან. მათი შრომის ნაყოფიერებაზე მიტყვეულებს ის სიგელები და მადლობის ბარათები, რომლებიც კოლექტივს სახელმწიფო გეგმების შესრულებისა და მეზავრთა კულტურული მომსახურებისათვის აქვთ მიღებული.

ჯასულ წელს საკოლმეურნეო ბაზართან მწყობრში ჩადგა ახალი ავტოკავეირეონი. ავტოკავეირეონებმა აშენდა სოფლებში ანაკლიასა და ნარაზენში. ქალაქის ოქტომბრის მოედანზე და დაბა საბერიოში გათვალისწინებულია ახალი ავტოსადგურების მშენებლობა, 25.000 მანეთად სადგურების რეკონსტრუქციისათვის არის გამოყოფილი.

კ. ფიფია.

● ქობულეთის რაიონის სოფელ ჭაქუთის მოსწავლეებმა შეხვედრა მოეწყვეს ბამელ მშენებელ ზურაბ აბულაძეს. მან პატარებს საინტერესოდ მოუთხრა ბაიკალ-ამურის магистралის გრანდიოზულ მშენებლობასა და ნაბიჯგრეზნინსკელთა წარმატებებზე.

ო. კოსელიძე.

ფაქტები, პროგლემები
საქართველოს და უცხოეთის პრესის საგაზეთო-ინფორმაციული ბიულეტენი
მსოფლიოს ამბები
14 აპრილი

ეროვნულ გამოცდილების დიდი სკოლა



ეკონომიკური და სოციალური პროგრესის დიდმნიშვნელოვანი სტიმული, საბჭოთა კავშირის მშრომელთა პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის სკოლა გახდა საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც დღენიადაგ მდიდრდება ახალი გამოცდილებით, მნიშვნელოვანი პატრიოტული თაოსნობებით.

ამიტომაც არის, რომ იზრდება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის — მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და გავრცელების სკოლის — როლი. 1977 წლის გამოფენის აუდიტორიებში გათვალისწინებულია მოეწყოს 900-ზე მეტი სასწავლო ღონისძიება. ისინი გაიმართება თემატიკური გამოფენების, დათვალიერებების, სპეციალური ექსპოზიციების ბაზაზე. 200 ათასზე მეტი სპეციალისტი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ათმაღლების კვალიფიკაციას, მიიღებს ახალ ცოდნას, გაიმდიდრებს გამოცდილებას.

გამოფენა ოპერატიულად ეხმაურება ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის აქტუალურ პრობლემებს. იგი მილიონთა კუთვნილებად აქცევს საუკეთესო კოლექტივების, მოწინავეების, ნოვატორების გამოცდილებას.

სამშობლო დიდად აფასებს ხუთწლედის მოწინავეთა გმირულ შრომას. სამრეწველო, საწარმოო, სამეურნეობათაშორისო და აგრომამრეწველო და სხვა გაერთიანებების, მათი საწარმოო ერთეულების, საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო და სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების საუკეთესოთა შორის საუკეთესო კოლექტივებს ენიჭებათ დიდი პატივი შეტანილ იქნენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკავშირო საპატიო დაფაზე.

საიუბილეო წლის თემატიკური გამოფენებისა და დათვალიერებების ექსპოზიციებში ფართოდ იქნება გაშუქებული მეათე ხუთწლედში კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული გაქანება, ქვეყნის დიდი წარმატებები საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე.

გამოფენის პავილიონებში განსაკუთრებით ფართოდ იქნება ნაჩვენები ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მიღწევები, მათი წვლილი ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის განვითარებაში.

გამოფენის ხალხთა მეგობრობის მოედანზე თვითეულ რესპუბლიკას შესაძლებლობა მიეცა უჩვენოს წარმატებები სპეციალურად ამ მიზნისათვის გამოყოფილ პავილიონში. მაგალითად, საქართველოს სსრ საიუბილეო ექსპოზიცია განლაგდება პავილიონში „სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია“, რომელსაც 1400 კვადრატული მეტრი ფართობი უკავია.

გამოფენის დამთვალიერებლები შეძლებენ საინტერესო მოგზაურობა მოაწყონ ჩვენს თვალწუდენელ ქვეყანაში — ბალტიკის ნაპირებიდან წყნარ ოკეანემდე.

მაისიდან ოქტომბრამდე გაიმართება მოკავშირე რესპუბლიკების უაღრესად საინტერესო დღეები. დედაქალაქში ჩამოვლენ მეცნიერები, სპეციალისტები, წარმოების მოწინავეები და ნოვატორები, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეები.

დღეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის გაცნობა იწყება მთავარი პავილიონით. წლეულს მისი ექსპოზიციები ასახავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას, ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ და მაორგანიზებელ როლს, მის რევოლუციურ-გარდამქმნელ საქმიანობას.

ამ საკითხებს მიეძღვნება ორი თემატიკური გამოფენაც, რომლებიც მოეწყობა პავილიონში: „ოქტომბერი და ახალგაზრდობა“ და „60 ძლევამოსილი წელი“.

წლეულს გამოფენაზე დიდი ყურადღება ეთმობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა პროპაგანდას.

უკვე დღეს გამოფენის დამთვალიერებლებს შეუძლიათ გაეცნონ დიდმნიშვნელოვან დარგთშორის გამოფენებს.

მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის გამლილ სოციალისტურ შეჯიბრებას ახასიათებს ის, რომ ძლიერდება შეჯიბრების მონაწილეთა ყურადღება წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისადმი. ეს ახლა უმთავრესია. ეფექტიანობისა და ხარისხისათვის ბრძოლა — ეს არის ბრძოლა წარმოების საუცხო ორგანიზაციისათვის, შრომითი პროცესის ზუსტი რიტმისათვის, ტექნოლოგიის უუფო დაცვისათვის, სამუშაო დროის, მატერიალური ღირებულებების, ტექნიკის გამოყენებისადმი ეკონომიური, ყაირათიანი და, ამავე დროს, შემოქმედებითი დამოკიდებულებისათვის.

ეს თემები გაშუქდება ბევრ გამოფენასა და დათვალიერებაზე. ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების პრობლემებს მიეძღვნება ბევრი სხვა გამოფენაც. მაგალითად, პავილიონში „ქიმიური მრეწველობა“ ეწყობა გამოფენა „მრეწველობის ქიმიურ დარგებში მეცნიერულ-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოების ეფექტიანობის ამაღლება“.

თემატიკური გამოფენა „წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ხე-ტყის და ხის დამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა მუშაობის გამოცდილება“ გაიხსნება პავილიონში „სატყეო მეურნეობა და ხე-ტყის მრეწველობა“.

პავილიონში „გაზის მრეწველობა“ მოეწყობა თემატიკური გამოფენა „ნავთობისა და გაზის მრეწველობის ობიექტების მშენებლობაზე სამუშაოთა ხარისხის კონტროლის თანამედროვე მეთოდები“. მზადდება გამოფენა „სამამულო ჩარხმშენებლობის მიღწევები“.

სსრ კავშირის საახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა საიუბილეო წელს

ამ გამოფენაზე ჩარხმშენებლობის მრეწველობის სამინისტროს 120-მდე საწარმო და ორგანიზაცია უჩვენებს ლითონსაკრეები ჩარხების, სამეჭედლო-საწნეხი, სამსხმელო და სხვა მოწყობილობის ნიმუშებს. წარმოდგენილი მოწყობილობის მნიშვნელოვანი ნაწილი რიცხული პროგრამული მართვისა და ინსტრუმენტის ავტომატური ცვლის ჩარხებია.

უმკაცრესი ეკონომია და მომჭირნეობა სახალხო მეურნეობის განვითარების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობაა. გასული წლის დამლევს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად ჩელიაბინსკის ოლქის საწარმოებში და მშენებლობებზე შავი ლითონების მომჭირნეობისათვის მატერიის ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე უჩვენებენ მრეწველობის, ტრანსპორტის, საწარმოების, სამშენებლო ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროების კოლექტივების მიღწევებს, რაც ხელს შეუწყობს შავი ლითონების მომჭირნეობისა და სახალხო მეურნეობაში მათი ეფექტიანი გამოყენების ამოცანათა უსწრაფესად გადაწყვეტას. ჩელიაბინსკელთა მიღწევებისადმი მიძღვნილი გამოფენა იელისიდან სეპტემბრამდე გასტანს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე აღნიშნა, რომ მშენებლობა ცენტრალური პრობლემაა იმ პრობლემებს შორის, რომლებსაც სახალხო მეურნეობის განვითარების მთელი მსვლელობა პირველ პლანზე აყენებს.

გაერთიანებულ პავილიონებში „მშენებლობა“ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის მზადდება საიუბილეო გამოფენა „საბჭოთა ხელისუფლების 60 წლის მანძილზე კაპიტალური მშენებლობის დარგში მოპოვებული მიღწევები“. თანამედროვეობის მთავარი პრობლემაა შრომის ნაყოფიერების გადიდება. მიმდინარე ხუთწლედში მშენებლობაში შრომის ნაყოფიერება 25-30 პროცენტით უნდა გაიზარდოს. ამ ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა ავამოქმედოთ მთელი არსებული რეზერვები და უწინარეს ყოვლისა დაენერგოთ საშეურნეო ანგარიშის ახალი ფორმა — ბრიგადული იჯარა. ამ მეთოდით მომუშავე ბრიგადებში შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში საშუალო შრომის ნაყოფიერებაზე 20-25 პროცენტით მეტია.

თემატიკური გამოფენა „მშენებლობაში ბრიგადული სამეურნეო ანგარიშის დანერგვის გამოცდილება“ საშუალებას მოგვცემს განვაზოგადოთ მუშაობის მოწინავე გამოცდილება და ხელს შეუწყობს საბინაო-სამოქალაქო, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო მშენებლობაში ბრიგადული იჯარის შემდგომ დანერგვას.

შარშანდელი წელი ჩვენი მიწათმოქმედების დიდი გამარჯვებით აღინიშნა. მოვიწეთ 224 მილიონი ტონა მარცვლეული. მივიღეთ ბამბაია და ბევრი სხვა კულტურის კარგი მოსავალი.

რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, რაიონების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილებას, რომლებიც განუწყვეტლივ ზრდიან მარცვლეულის წარმოებას, პროპაგანდად გაეწევა თემატიკურ გამოფენაზე „მკა-76-ის მოწინავე გამოცდილება“.

დიდმნიშვნელოვან პრობლემას მიეძღვნება თემატიკური გამოფენა „მიწათმოქმედების მაღალი კულტურის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები“. ქვეყნის სხვადასხვა ბუნებრივ-ეკონომიკური ზონების მოწინავე მეურნეობათა მაგალითით იგი გააშუქებს თესლბრუნვის გაუმჯობესების, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების, ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის აგროქიმიური ღონისძიებებისა და მეთოდების სრულყოფის, თესვისა და მოსავლის აღების სწორი ვადების დაცვის გზებს.

სოჭიდან ბათუმამდე გადაჭიმული ჩვენი სუბტროპიკები. მთის კალთები და ვლები აქ მთელი წლის მანძილზე მწვანე მცენარეებით აის დაფარული. საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ეს მხარე ციტრუსების, ჩაის, დაფნისა და სხვა ძვირფასი კულტურების თესვა-მოყვანის უდიდეს ცენტრად გადაიქცა ჩვენს ქვეყანაში.

ამჟამად ციტრუსების მოყვანას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს სსრ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში. საბჭოთა კავშირის ბევრი ქალაქისა და სამრეწველო ცენტრის მცხოვრებები აქედან იღებენ მილიონობით ოქროსფერ ნაყოფს, რომლებიც დიდძალ ვიტამინებს შეიცავს.

რესპუბლიკის 180-ზე შეტი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ამ სითბოსმოყვარული კულტურების თესვა-მოყვანას ეწევა. მათ შორის უდიდესია კოხორის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც სუბტროპიკული ზონის ცენტრში — აფხაზეთის ასსრ გალის რაიონშია განლაგებული. ეს დიდად რენტაბელური მეურნეობაა, რომელიც ყოველწლიურად დაახლოებით 2-3 ათას ტონა მანდარინს, ფორთოხალს, ლიმონს აწარმოებს.

კოხორის საბჭოთა მეურნეობას 970 ჰექტარი უკავია.

საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებში ყინვამედეგი ჯიშის ლიმონისა და სხვა სახეობათა ციტრუსების გამოსაყვანად დიდ მუშაობას ეწევიან საქართველოს სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტების გენეტიკისა და სელექციის კათედრის მეცნიერები და სპეციალისტები. გაშენებულია საცდელი პლანტაციები ხუთ ჰექტარზე, აგრეთვე სასელექციო ჯიშის ჩაის სადედე ნაკვეთი, რომელზეც ყოველწლიურად რვა ტონაზე მეტ თესლს იღებენ და მეჩაიეობის მეურნეობებს გადასცემენ.

განხორციელებულ ღონისძიებათა კომპლექსი საშუალებას აძლევს კოხორელებს ციტრუსების უზვი მოსავალი მოიწიონ. ეს მოსავალი 3 ათას ტონას აღწევს. ამიტომ საბჭოთა მეურნეობა შემოსავლის დაახლოებით 80 პროცენტს მეციტრუსეობისაგან იღებს. ციტრუსებია და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების რეალიზაციის შედეგად მეურნეობა ყოველწლიურად 2,5 მილიონი მანეთის მოგებას იღებს. მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი შეტანილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკავშირო საპატიო დაფაზე.

სპეციალიზაციის, კონცენტრაციისა და სამეურნეობათაშორისო კოოპერირების გამოცდილებას ეძღვნება „მეცხოველეობის“ განყოფილების პავილიონების რამდენიმე სპეციალური ექსპოზიცია. ერთ-ერთი მათგანია „სპეციალიზაცია და საკოლმეურნეობათაშორისო კოოპერირება საკვების წარმოებაში“. იგი გააშუქებს სპეციალიზაციასა და საკოლმეურნეობათაშორისო კოოპერირებას როგორც საკვების წარმოებისა და დამზადების სრულყოფილ ფორმას.

სოფლის მეურნეობის განყოფილების 32 პავილიონი მოგვითხრობს, თუ როგორ გაიმარჯვა ლენინურმა აგრარულმა პოლიტიკამ, რომელიც შემდგომ განავითარა სკკპ XXV ყრილობამ.

ყოველივე იმ ახლის აქტიური დანერგვა, რაც ნაჩვენები იქნება გამოფენაზე საიუბილეო წელს, დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენი ქვეყნის შრომელებს მეათე ხუთწლედის გეგმების შესრულებაში.

ე. შაპოჩკინი,
სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დირექტორის მოადგილე.

უნდა აღიკვეთოს დისკრიმინაცია

ნიუ-იორკი. (საკდესი). ჩიკაგოში გაიმართა მე-40 ყოველწლიური კონფერენცია საერთაშორისო ვაჭრობის პრობლემებზე, რომელმაც აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხელსაყრელი სავაჭრო ურთიერთობის განვითარებაში აუცილებლად საჭიროა აღმოიფხვრას დისკრიმინაციული დაბრკოლებანი.

კონფერენციაზე გამოსულმა საერთაშორისო სამართლის თვალსაჩინო სპეციალისტმა სემუელ პისარმა განაცხადა, რომ დასავლეთის ბიზნესმენთა შორის სულ უფრო იზრდება ინტერესი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან მჭიდრო საქმიანი ურთიერთობის დამყარებისადმი.

მაგრამ ნორმალური ვაჭრობის განვითარებას, აღნიშნა მომხსენებელმა, ამჟამად აძნელებს ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დღემდე უარს ეუბნება საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს ვაჭრობაში უმეტესი ხელშეწყობის სტატუსზე. ცხოვრება დაჟინებით მოითხოვს გაუქმდეს ამერიკის კონგრესის მიერ სოციალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობაზე შემოღებული დისკრიმინაციული შეზღუდვები. ისტორია გვიჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ საიმედო პარტნიორი იყო ვაჭრობაში, ხაზი გაუსვა ს. პისარმა.

კომპანია „პულმან ინკორპორეიტედის“ პრეზიდენტმა ს. კეისმ მოიყვანა საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებთან მისი კომპანიის ხელსაყრელი ურთიერთობის თვალსაჩინო მაგალითები.

მეგობრობა განმტკიცდება

დელი, (საკდესი). ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ბ. ვაჯპაიმ იმედი გამოთქვა, რომ კვლავაც განვითარდება ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა და ურთიერთგაგება.

წერილში, რომელიც ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ხელოვნების ეროვნულ საბჭოს ჯეგზავნა საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 30-ე წლისთავის გამო, ა. ბ. ვაჯპაი ხაზს უსვამს, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ გამოცხადებულმა სოციალური სამართლიანობის იდეებმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია ინდოელ ხალხში.

ჩვენი ქვეყნების გულითადმა ურთიერთობამ, მეგობრობამ და თანამშრომლობამ გაუძლო დროის გამოცდას და დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი ხალხებისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისთვისაც, ნათქვამია დასასრულ წერილში.

„სამართლიანობა“ ამერიკულად

ვაშინგტონი, (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა პატიმრობის ვადა შეუმცირა „უოტერგეიტის სკანდალის“ ერთ-ერთ მთავარ მოქმედ პირს გორდონ ლიდის. გამოძიების ფედერალური ბიუროს ეს ყოფილი აგენტი, თეთრი სახლის ყოფილი კონსულტანტი ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო ვაშინგტონის სასტუმრო „უოტერგეიტში“ დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინაზე თავდასხმისა, რომელიც მიზნად ისახავდა მისაყურადებელი აპარატურის დადგმას 1972 წლის არჩევნებისწინა კამპანიის პერიოდში.

ლიდი, რომელსაც ბრალად ედებოდა დანაშაულებრივ პირებთან შეკვრა, შემტვრევა, მიყურადება, სასამართლოსა და კონგრესის უპატივცემლობა, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დარღვევა, დამნაშავედ ცნეს და მიუსაჯეს 21,5 წლის პატიმრობა. ახლა ეს ვადა 8 წლამდე შეუმცირეს. მაგრამ იგი ამ სასჯელსაც არ მოიხდის: „სამაგალითო ყოფა-ქცევისათვის“ ლიდის გაათავისუფლებენ მომდინარე წლის 9 იგლისს.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ, როცა ამ გადაწყვეტილებას იღებდა, პრეზიდენტი ხელმძღვანელობდა „სამართლიანობის ინტერესებით“, რადგან გამომძიების ფედერალური ბიროს ყოფილ აგენტს გამოუტანეს უფრო მკაცრი განაჩენი, ვიდრე „უოტერგეიტის სკანდალის“ სხვა „გმირებს“.

მომდინარე წლის თებერვლის დამლეგს იკრეთეი ვადამდე გათავისუფლეს სატანმოროდან „უოტერგეიტზე“ თავდასხმის მეორე ორგანიზატორი — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი აგენტი, თეთრი სახლის ყოფილი კონსულტანტი ჰოვარდ ჰანტი.

ხელისუფალთა ღმობიერება ამ დამნაშავეების მიმართ საოცარი კონტრასტია ემასთან შედარებით, თუ როგორ დევნიან მშვიდობისა და ეროვნულ ემანციპაციისათვის მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლთ, გაფიცვების ორგანიზატორებსა და „სხვაგვარად მოაზროვნეებს“.

გმობენ განდიტურ თავდასხმებს

პარიზი. (საკდესი). 11 აპრილს ღამით მოფაშისტო ელემენტებმა სცადეს ცეცხლი გაეჩინათ შენობისათვის, სადაც მოთავსებულია „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ხაზოგადოება და წიგნის მაღაზია „გლობი“, რომელიც ხაბჭოთა ლიტერატურის გაყიდვაზე სპეციალიზდება. გამოწვეულია მატერიალური ზარალი.

როგორც ვიეუწყებოდით, ამას წინათ ბანდიტურად დაესხნენ თავს საბჭოთა დაწესებულებებს პარიზში — სცადეს ცეცხლი გაეჩინათ საბჭოთა საელჩოს ერთ-ერთ შენობაში, საელჩოს საკონსულო განყოფილებასა და საგაჭრო წარმომადგენლობაში.

ეს ტერორისტული დანაშაულებრივი აქციები ჯადაქრით დაგმო „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოებამ. ასეთი მოქმედება, ნათქვამია საზოგადოების ხელმძღვანელობის აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში, ეწინააღმდეგება მშვიდობის ინტერესებსა და საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს. საზოგადოებამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს მუშაობა ფრანგი და საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის განსამტკიცებლად, და მოითხოვა, რომ ხელისუფლებამ გადამწყვეტი ღონისძიებანი განახორციელონ ტერორისტული დანაშაულებრივი საქმიანობის აღსაკვეთად. გაზეთმა „ლუმანიტემ“ მოითხოვა, რომ დაუყოვნებლივ განხორციელდეს ღონისძიებანი პროვოკაციულ გამოხდომებში დამნაშავე პირთა მოსაძებნად და დასასჯელად.

იმპერიალისტური შეთქმულება

ადის-აბება. (საკდესი). ეთიოპიის სახელმწიფოს მეთაურმა მენგისტუ ჰაილე მარიამმა მოუწოდა მოსახლეობას მზად იყოს საყოველთაო მობილიზაციისათვის სუდანის შეიარაღებული აგრესიის მოსაგერიებლად.

ეროვნული რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლისას ეთიოპიის სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა, რომ სუდანის ხელისუფლებმა შეიარაღეს საზღვრისპირა რაიონებში მოქმედი კონტრრევოლუციონერები, მხარს უჭერენ მათ ტანკებითა და არტილერიის ცეცხლით.

ამ ძირგამომთხრელი მოქმედების შედეგად ჩრდილოეთ და დასავლეთ ეთიოპიაში სტროფული მდგომარეობა შეიქმნა. მთავრობის ჯარებს იქ მძიმე ბრძოლები აქვთ, ქალაქები ტესენეი და მეტემა მოწინააღმდეგემ იგდო ხელთ.

სუდანმა, ხაზი გაუსვა მენგისტუ ჰაილე მარიამმა, ამ აგრესიის მიმართა ეგვიპტის მხარდაჭერით, რომელთანაც ამას წინათ სამხედრო ხელშეკრულება დადო.

ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში ახლანდელი შეიარაღებული ჩარევა ეთიოპიის რევოლუციის ლიკვიდაციის მიზნით იმპერიალისტური შეთქმულების ნაწილს წარმოადგენს. ეს არის ცდა შინაურ წინააღმდეგობებს ჩამოაშორონ სუდანისა და ეგვიპტის ხალხს მისების ყურადღება.

ბრაზილიის ეროვნული კონგრესი

**ბრაზილია. (საკდესი). ბრაზილიის ეროვნული კონგრესი ბოლო ხანებში ბევრ ისეთ ფაქტს ადასტურებს, ანტიეროვნული ბურჟუაზიის ინტერესებს, ეროვნული ეკონომიკის ინტერესებს, ეროვნული ინდუსტრიის ინტერესებს, ეროვნული ბანკების ინტერესებს, ეროვნული ბანკების ინტერესებს, ეროვნული ბანკების

საქართველოს რაიონებში

გურჯაანი

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲘᲜᲘᲐᲜᲘ

ᲥᲐᲚᲐᲫᲘᲡ კომუნალურ საბინაო ფონდს კიდევ ერთი ახალი საცხოვრებელი სახლი შეემატა. ორკომფორტიანის ქეცზე დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 60-ბინიანი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი. ახალმოსახლეობა იზეიმეს ქალაქის საწარმოთა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებმა.

ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲗᲐ ᲡᲐᲙᲔᲝᲚᲓᲔᲚᲝᲓ

ᲡᲝᲤᲔᲚ ვეჯნის თავში, ტყით შემოსილი მთის ლამაზ ფერდობზე აშენდა რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სამინისტოს სისტემის მოხუცთა დასახვენებელი სამსართულიანი სახლი. ერთდროულად აქ 150 კაცს შეუძლია დაისვენოს.

ᲛᲝᲠᲬᲧᲮᲘᲗᲔᲑᲘ ᲪᲘᲪᲘᲗ ᲬᲧᲐᲚᲘ

ᲙᲐᲠᲗᲚᲘ საწუქარი მიიღო ქალაქის მოსახლეობამ. სოფელ ჭანდრის ბოღოს გაბურღეს ორი არტეზიული ჭა, საიდანაც წყალსაქანით გურგაანში ცივი ახკარა წყალი მოედინება. წყლის დებიტი წამში 25 ლიტრს აღემატება. იგივე წყალსაჭაი ხადგური მაღე სასმელ წყალს მიაწვდის სოფელ ჭანდრის მოსახლეობასაც.

ᲒᲐᲖᲗᲕᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲮᲐᲠᲐᲓ

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ახალი საბავშვო ბაღის კეთილმოწყობილი შენობები მიიღეს სოფლების — ვეჯნისს, ბაკურციხის და კარდანახის სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებმა.

„ᲪᲘᲡᲐᲠᲢᲧᲔᲚᲐ“

ᲜᲐᲣᲛᲝᲕᲘᲐᲠ მუშაობას ეწევა საქალაქო კულტურის სახლთან არსებული საეს ტრადო ანსამბლი „ცისარტყელა“. ანსამბლმა მაღალ ერთი წლის მანძილზე სამოცამდე კონცერტი გამართა, როგორც კულტურის სახლში, ისე რაიონის სოფლებსა და მეზობელი — სიღნაღის, ლაგოდეხის, წითელწყაროსა და ყვარლის რაიონებში.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲔᲑᲘ

ᲠᲐᲝᲜᲘᲡᲘᲡ მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელს ახლახან კიდევ რამდენიმე ბიბლიოთეკა შეემატა. მათ შორის არის სოფელ ბაკურციხეში სასოფლო ბიბლიოთეკა 1.367 წიგნით. ბიბლიოთეკას დაეთმო კეთილმოწყობილი ოთახები. ბიბლიოთეკები გაიხსნა აგრეთვე ჯიმითში და ქოდალოში.

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲚᲮᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲠᲐᲝᲜᲘᲡ სანეიდსადგურთან ჩამოყალიბებულია და საყოფიერად მუშაობს ჯანმრთელობის სასალხო უნიკერსიტეტი (ხელმძღვანელი ექიმი დ. ხაზიური), რომელშიც გაერთიანებული არიან მუშა-მოსამსახურეები, კოლმეურნეები, დიასახლისები. სწავლება ორწლიანია.

პირმან უნივერსიტეტი დაამთავრა 120 მსმენელმა. აძლამად კი სამედიცინო-სანიტარულ ცოდნას 130 მსმენელი ეუფლება.

Ა. ᲗᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

„კომუნისტის“ კორ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: მოხუცთა დასასვენებელი სახლის მთავარი კორპუსი.

Р. ПЕТРОСЯНИНИС ფოტო.



ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲓᲠᲝ

ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲔᲥᲡᲙᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲒᲕᲘᲬᲕᲔᲕᲡ

ᲓᲦᲔᲡ, 15 აპრილს იწყება „მხატვრის კვირეული“ და 25 აპრილამდე გასტანს. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარეს ნოდარ ᲯᲐᲜᲑᲔᲠᲘᲫᲔᲡ, რომელმაც თქვა:

— ზეაწეული განწყობილებით შეხვდნენ ფუნჯისა და საჭრელთლის ოსტატები „მხატვრის კვირეულს“, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავს ეძღვნება.

„მხატვრის კვირეულის“ დღეებში გაიმართება კავშირის გამგეობის გაფართოებული პლენუმი, სადაც მთავარი ყურადღება მიექცევა ახალგაზრდა მხატვართა აღზრდის პრობლემებს.

„მხატვრის კვირეულის“ დღეებში განსაკუთრებით ყურადღებას გავამახვილებთ ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის პრობლემაზე. უნდა ვალიაროთ, რომ განათლების სისტემაში ამ მხრივ ყველაზეფერი რიგზე როდია. ჩვენ გადავწყვიტეთ კვირეულის დღეებში მოვაწყოთ ნორჩების კოლექტიური სალა მუზეუმებში, მხატვართა სახელოსნოებში, სადაც ბავშვებს სახვითი ხელოვნებაზე ლექციებს წაუკითხავენ ხელოვნებათმცოდნეები. თბილისის სკოლებში ეწყობა შეხვედრები, საუბრები სპავშვო წიგნის მხატვრებთან, კინოფესტივალი, სხვადასხვა შემოქმედთა ნამუშევრების განხილვა. სკოლებში მოეწყობა წერილთა სამუშაოები სახვითი ხელოვნების ირგვლივ. ერთ-ერთ შეხვედრას ჰქვია — „ორი საათი მხატვრებთან“. ღონისძიება „მხატვარი და ბავშვები“ ტრადიციული უნდა გახდეს.

„მხატვრის კვირეულის“ იქნება ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიში. პირველ დღეს გაიხსნება ლ. ᲪᲣᲪᲘᲠᲘᲫᲘᲡ, მ. თავაძის, გ. მიქაძის გამოფენები.

16 აპრილს ლენინური შაბათობაა და ქართველი მხატვრები საყოველთაო შრომით ზეიმში დიდი ხალისით მიიღებენ მონაწილეობას.

17 და 18 აპრილს ᲕᲘᲬᲕᲔᲕᲘᲗ გამოწენილი მხატვრების სახელოსნოებს, სახლ-მუზეუმებს. ი. ნიკოლაძის, ᲚᲛ. ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡ, Ჯ. ᲛᲐᲦᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, Ი. გამრეკელის, მ. თოიძის, ნ. კანდელაკის, ა. ᲭᲣᲗᲐᲗᲐᲫᲘᲡ შემოქმედების თაყვანისმცემლები, სახვითი ხელოვნების მოყვარულნი კიდევ ერთხელ დარეკავენ მათი შემოქმედიდან.

გაიხსნება დიდი საგაზაფხულო გამოფენა მხატვართა კავშირის საკმაპოზიციო დარბაზში (ბარათაშვილის ხიდი).

შემდეგ დღეებში ქართველი მხატვრები შეხვდებიან ამერიკაკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრებს, დინამოვის სახელობის საავიაციო და სტალინის სახელობის ᲕᲐᲙᲠᲔᲨᲛᲔᲘᲜᲝᲔᲑᲔᲚᲘ ᲭᲐᲠᲗᲜᲘ მუშებს. ცნობილი მოქანდაკის ნ. კანდელაკის სახლ-მუზეუმში გაიმართება მასი ხსოვნის საღამო. თეატრალური საზოგადოების საკამფენო დარბაზი დაეთმობა ელ. ახვლედიანის თეატრალური ესკიზების ᲔᲥᲡᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ.

20-21 აპრილი ღია კარის დღეა. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ მხატვრები უმასპინძლებენ დამთვალიერებლებს, სტუმრებს. აღსანიშნავია კიდევ ერთი ᲘᲜᲘᲡᲘᲗ: ᲐᲛ დღეებში სურათების სახელმწიფო გალერეის წინ ქართველი მხატვრები გაპყიდიან თავიანთ ნამუშევრებს.

არა მარტო თბილისში, არამედ ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ, სოხუმში, ბათუმში და სხვ. მოეწყობა „მხატვრის კვირეული“. იქაურმა მხატვრებმა ფართო პროგრამები შეიმუშავეს და საკავშირო დათვალიერება უთუოდ საზეიმოდ და საინტერესოდ წარამართება.

„მხატვრის კვირეულს“ ეძღვნება საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის ერთდროული გაზეთი — „მხატვარი“.

• • •

ᲮᲣᲠᲐᲗᲨᲘ: მხატვარ ᲘᲠ. ᲒᲝᲠᲓᲔᲚᲐᲫᲘᲡ პლაკატი.

ᲠᲐᲪ ᲗᲕᲐᲚᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲕᲘᲠᲔᲑᲐᲠᲐ

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲐᲜᲒᲠᲘᲔᲡ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲘ...

ᲔᲠᲗ ᲓᲠᲝᲡ მთავარი გზატკეცილი თბილისიდან ბათუმამდე ჩოხატაურის და მახარაძის გავლით მიემართებოდა. ამ ორიოდე წლის წინათ კარგი კაპიტალური რემონტი გაუკეთეს და ჩინებული საავტომობილო გზა გაიყვანეს ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ გავლით ჩავიდნენ ბათუმში. ეს ისეც ხდება და ამჟამად გზის ეს მონაკვეთი ძლიერ გადატვირთულია.

ამ ხუთი თვის წინათ აქ, ამ მთავარ ტრასაზე ქალაქ ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ ᲪᲔᲮᲠᲘᲡ შესასვლელთან, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ძველი ხიდი დაანგრიეს და ახლის მშენებლობა დაიწყეს. დაიწყეს, მაგრამ მის დამთავრებას საშველი არ დაადგა.

ეს ფრიად საშური საქმე მინდობილი აქვს ქ. ფოთის № 13 საგზაო-საექსპლოატაციო უბანს (უფროსი უ. ᲣᲠᲣᲨᲐᲫᲔ). მაგრამ მშენებლები სულაც არ ჩქარობენ. ისინი თავს იმით იმშვიდებენ, რომ ხიდის უქონლობის გამო მოძრაობა არ ფერხდება, შემოსავლელი გზა ხომ არის ფრუნზეს ᲥᲣᲩᲐᲓᲐᲜᲘ.

ახლა ისიც ვიკითხოთ, რა გზაა ეს! გზა კი არა, ნამდვილი ბეწვის ხიდია. გასავლელი ისე ვიწროა, მანქანა მანქანას გვერდს ვერც კი შეუვლის. გზის ასეთი სიგიწროვის გამოც იყო, რომ აქ შემაძრწუნებელი ტრაგედია მოხდა—ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ № 2 საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლე გ. გურგენიძე მოჰყვა მანქანის ქვეშ და დაიღუპა. ამას წინათ კიდევ რაღაც სასწაულით გადარჩა ავტომანქანა, რომელზედაც 20 კაცი იჯდა. ᲮᲣ-ის იყო მანქანა უნდა გადაშვებულიყო ხიდისათვის გათხრილ ღრმა ორმოში, რომ მძღოლმა ინარჯვა და ო�o ადამიანის სიცოცხლე იხსნა აშკარა დაღუპვისაგან.

ასე ითქმის ხდება, რომ გზა გადაუხერგავია, უბარალო თუნუქის ნაგლეჯზე გაკეთებულ გამაფრთხილებელ ნიშანს ეშვიათად თუ ნახავთ თავის ადგილზე. ეგი ხან ქუჩის მარჯვენა, ხან მარცხენა კუთხეში გდია თავდაყირა.

ამ რამდენიმე დღის წინათ ერთხელ კიდევ დავათვალიერეთ მშენებლობა და გზის ის უბანი, სადაც ხიფათი მოხდა. მშენებლობას ცუდი პირი უჭირს. არა და ასეთ პირობებში ძნელია ამ გასასვლელში საგზაო უსაფრთხოების წესების დაცვა.

ასეთივე ცუდი და საზიფათო გზაა ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ მონაკვეთზე (ურეკის ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲘᲡ საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე მისვლამდე), რომელსაც აგრეთვე ფოთის № 13 საგზაო-საექსპლოატაციო უბანი ემსახურება. აგერ 2 წელია ამ ერთი მტკაცული გზის შეკეთება დასაწყებლებრივად ᲭᲘᲐᲜᲣᲠᲓᲔᲑᲐ, რის გამოც მგზავრობა სახიფათო და მტანჯველი გახდა.

Ბ. ᲩᲮᲐᲘᲫᲔ,

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ᲕᲘᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲝᲘᲒᲝ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲔᲑᲘᲡ მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 9 მაისს გამართული „შაბათის სპორტლოტოს“ (36-დან 5) მე-15 ტირაჟის შედეგები.

პირველ ტირაჟში ხუთი ნომრები სწორად იყო გადაშლილი თუთუმეტ ბილეთში, თითოეული მაქსიმუმს — 5.000 მანეთს. ოთხი ნომრის გამოცნობისათვის ᲒᲚᲔᲗ 128 მანეთი (2193 ბილეთი), სამისათვის — 4 მანეთი (66483 ბილეთი).

მეორე ტირაჟში ხუთი ნომერი გამოცხობილია ცხრა ბილეთში. მათი მფლობელები მიიღებენ 5.000-5.000 მანეთს. ოთხი ნომრის გამოცნობისათვის დანაშნულია 145 მანეთი (1.831 ბილეთი), სამისათვის — 5 მანეთი (62.432 მანეთი).

მოგება გაიცემა 1977 **წლის** 20 აპრილიდან 20 მაისამდე ჩათვლით.

„შაბათის სპორტლოტოს“ მორიგი, მე-16 ტირაჟი გაიმართება 16 აპრილს.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, თბილისის ა. ხ. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 67 წლის ასაკში გარდაიცვალა სკკპ წევრი 1940 წლიდან, თბილისის ა. ხ. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ᲕᲐᲠᲚᲐᲛ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲫᲔ ᲔᲡᲐᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

Ვ. ᲔᲡᲐᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲫᲠᲫᲚᲐᲕᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ გამოყო პროფესორ ვ. ესაიაშვილის დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: გ. მაქაცარია (კომისიის თავმჯდომარე), ნ. ვასაძე, ო. ᲭᲐᲮᲐᲘᲐ, თ. ᲙᲐᲠᲐᲜᲫᲘ, მ. დოდელია, დ. ᲥᲕᲚᲘᲕᲘᲫᲘ, ვ. ᲩᲐᲙᲕᲔᲢᲐᲫᲘ, Თ. ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲘ, გ. ᲕᲐᲠᲓᲝᲡᲚᲐᲜᲘᲫᲔ.

პანაშვიდი 15, 16 აპრილს 8 საათზე ᲯᲐᲕᲨᲐᲕᲐᲫᲘᲡ პრ. 24, გამოსვენება 17 აპრილს 4 საათზე პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტიდან.

დაკრძალვა მოხდება სახელმწიფო ხარჯზე.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში „ლოკომოტივისა“ და დონეცკის „შახტიორის“ შეხვედრით დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის ჩემპიონატის მორიგი, მესამე ტურნირი იყო სეზონის პირველი მატჩი დედაქალაქში (იგი „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა). ასაარეზობა დამთავრდა ფრედ — 0:0.

დღეს გაიმართება ამ ტურის კიდევ ორი შეხვედრა: „ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ — „ᲩᲔᲠᲜᲝᲛᲝᲠᲔᲪᲘ“ და კიევის „დინამო“ — „ᲖᲐᲠᲘᲐ“.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩები ფეხბურთში. ერთ მთგანზე (ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ „ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ — ᲧᲐᲖᲐᲜᲘᲡ „ᲩᲠᲓᲘᲚᲘ“ — 2:0) ჩვენ უკვე ვიუწყებოდით.

მოგვყავს დანარჩენი შედეგები. დიდი ანგარიშით 4:0 ᲢᲐᲛᲙᲔᲜᲢᲘᲡ „ᲞᲐᲮᲢᲐᲙᲝᲠᲛᲐ“ დაამარცხა სვერდლოვსკის „ᲣᲠᲐᲚᲛᲐᲨᲘ“, ხოლო მინსკის „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ კრივოი როგში 4:1 მოუგო ადგილობრივ „კრივბასს“. თანაკლუბელებთან მოსკოვის „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲡ“ შეხვედრა ივანო-ფრანკოვსკში დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით — 1:0.

დუშანბეს „ᲞᲐᲛᲘᲠᲐ“ ანგარიშით 3:1 დაამარცხა კემეროვოს „ᲙᲣᲖᲑᲐᲡᲘ“, აშხაბადის „ᲙᲐᲚᲝᲩᲐ“ — ᲗᲔᲠᲛᲘᲡ „ᲬᲘᲜᲐᲦᲒᲝᲛᲐ“ — 1:0, ორჯონიკიძის „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐ“ თავის მოედანზე წააგო სომფოროპოლის „ᲢᲔᲠᲐᲜᲘᲡᲗᲐᲜ“ 0:1. დანარჩენი სამი შეხვედრა დამთავრდა ფრედ: ᲬᲐᲠᲝᲠᲬᲝᲜᲘᲡ „ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ“ — ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ — 1:1, კაზანიოვის „ᲮᲘᲡᲢᲠᲣ“ — ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲚᲘᲡ „ᲨᲘᲜᲐᲙᲘ“ — 0:0, როსტოვის „ᲡᲙᲐ — ᲒᲠᲝᲜᲬᲝᲡ „ᲢᲔᲠᲔᲙᲘ“ — 1:1.

ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲜᲝᲒᲐ

ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲖᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე გაიხსნა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ზონალური საკავშირო პირველობა ცხენსნობის კლასიკურ სახეობებში. ამ შეჯიბრების დროს პარალელურად მიმდინარეობს საქართველოს ჩემპიონატიც.

ᲐᲡᲢᲐᲠᲘᲖᲝᲑᲘᲡ შეტანილია დაბრკოლებათა გადალახვა სხვადასხვა პრიზზე, სამჭადი, ცხენის გაᲨᲕᲠᲗᲜᲝ. თბილისის იპოდრომზე გამოდიან საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები, სპორტის ოსტატები ა. ნიბოგოვი, Ე. ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲐᲜᲘ, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი კ. ᲬᲐᲭᲐᲠᲘᲐᲜᲘ და სხვ.

პირველ დღეს გაიმართა შეჯიბრება დაბრკოლებათა გადალახვაში „ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲖᲔ“.

სტარტზე გამოვიდა 18 მხედარი. სამმა მონაწილემ — Ე. ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲐᲜᲛᲐ, ოსტატობის კანდიდატებმა გალინა ᲢᲠᲘᲤᲘᲝᲜᲝᲕᲛᲐ (ᲑᲐᲙᲣ) და გ. ავერესიანმა (ᲔᲠᲘᲕᲜᲘ) საჯარიმო ᲭᲣᲚᲔᲑᲘᲡ გარეშე გაიარეს დისტანცია. დაინიშნა განმეორებით ცდა, რომელმაც გამოავლინა გამარჯვებული. ეს იყო Ე. ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲐᲜᲘ (4 საჯარიმო ᲭᲣᲚᲐ). მეორე ადგილზეა გალინა ᲢᲠᲘᲤᲘᲝᲜᲝᲕᲐ. ᲔᲠᲗ მოხვდა პრიზიორებში გამოცდილი ოსტატი ა. ნიბოგოვი.

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, რომელთა შორის არ იყო საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი, თბილისელი სპორტის ოსტატი მ. ᲢᲐᲥᲨᲘᲫᲔ, შედარებით სუსტად იასპარეზეს. ოსტატობის კანდიდატმა Ვ. ᲬᲣᲐᲔᲒᲛᲐ (თბილისი) მეოთხე შედეგი აჩვენა, ხოლო ოსტატობის კანდიდატმა ი. სამველიანმა (ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲘ) — მეხუთე.

Ე. ᲡᲘᲛᲘᲜᲐᲫᲔ.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲒᲡᲙᲐ—ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ კიევში გაიმართა უმაღლესი ლიგის ეროთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ექვსეულის მატჩი გათამაშების ლიდერს ცსკა-სა და თბილისის „დინამოს“ შორის. ანგარიშით 113:91 (55:45) გაიმარჯვა ცსკა-მ.

ამრიგად, მოსკოველმა არმიელებმა 31 ქულა მოაგროვეს და შეჯიბრების დამთავრებამდე 7 ტურით ადრე სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს მეთხუთმეტედ!

წინა დღით ცსკა-მ დაამარცხა ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐ“ — 91:68 (45:31), ხოლო მოსკოვის „დინამომ“ დაძაბულ ბრძოლაში მოუგო კიევის „ᲡᲢᲠᲝᲛᲘᲢᲔᲚᲘ“ 87:82 (ძირითადი დრო — 78:78, პირველი ტაიმი — 49:36).

გუშინვე მოსკოვის „დინამომ“ სძლია „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲡ“ — 85:76, ხოლო „ᲡᲢᲠᲝᲛᲘᲢᲔᲚᲘᲛ“ — „ᲫᲐᲚᲒᲠᲘᲡᲗᲐᲜ“ — 101:90.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲖᲔ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ჩემპიონატის ევროპის მეცხრე შესაარეკვ ჯგუფში სსრ კავშირის მეტოქეᲗ — უნგრეთის ნაკრებმა ბუდაპეშტში ამხანაგური მატჩი გამართა პოლონეთის გუნდთან და გაიმარჯვა 2:1 (1:0). ჩვენს ნაკრებთან მატჩის წინ, რომელიც გაიმართება ბუდაპეშტში 30 აპრილს, უნგრელი ფეხბურთელები კიდევ ერთ ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲡ გუნდთან.

ᲡᲝᲤᲘᲐᲨᲘ ბულგარეთის ნაკრებმა სძლია დანიის გუნდს — 3:1 (2:1).

ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ გაიმართა უეფა-ს ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ წილისყრა ᲭᲐᲑᲣᲙᲝᲗᲐ გუნდებისათვის. სსრ კავშირის ნაკრება ფინალური ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ პირველ მატჩს გამართავს 19 მაისს მონსში (ᲑᲔᲚᲒᲘᲐ) ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდთან, შემდეგ შეხვდება ავსტრიისა (21 მაისს) და მალტის (23 მაისს) გუნდებს.

Ი. ᲑᲐᲘᲠᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გარდაიცვალა ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ორდენოსანი მანგანუმის სამთამადნო კომბინატის მთავარი ინჟინერი, 1952 წლიდან **ᲘᲚᲘᲐ ᲨᲝᲚᲗᲕᲐᲡ ᲫᲔ ᲑᲐᲘᲠᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

Ი. ᲑᲐᲘᲠᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ დაიბადა 1927 წელს აზერბაიჯანის სსრ კახის რაიონის სოფელ კახიგელოში პედაგოგის ოჯახში. 1949 წელს დამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და მიიღო სამთო ინჟინრის კვალიფიკაცია. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ მანგანუმის მრეწველობაში.

Ი. ᲑᲐᲘᲠᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა სამთო სპეციალისტმა და ორგანიზატორმა, რისთვისაც 1959 წელს ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ რაისამთოტექნიკური ინსპექციის უფროსად დაიწინაურეს, ხოლო 1962 წელს — ახალი ᲘᲗᲮᲝᲕᲘᲡᲘᲡ მაღაროთა სამმართველოს დირექტორად.

1972 წელს Ი. ᲑᲐᲘᲠᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ მანგანუმის ᲢᲠᲣᲡᲢᲘᲡ მმართველის მოადგილედ გადაიყვანეს, ხოლო 1975 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელი დღემდე სამთამადნო კომბინატის მთავარი ინჟინერი იყო.

Ი. ᲑᲐᲘᲠᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. წლების განმავლობაში უნაყოფიერად ხელმძღვანელობდა სამთამადნო კომბინატის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებას. 1963 წლიდან მას სისტემატურად ირჩევდნენ საქართველოს კომპარტიის ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ საქალაქო კომიტეტის წევრად, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ საქალაქო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად.

Ი. ᲑᲐᲘᲠᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებით და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით.

ნიჭიერი, ერუდირებული ინჟინერის, სპეტაკი მოქალაქის Ი. ᲑᲐᲘᲠᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მანგანუმის ქალაქის მშრომელთა გულებში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲘᲝᲜᲐᲢᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ, ᲘᲝᲜᲐᲢᲝᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲘᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲭᲔᲓᲠᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲘᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲭᲔᲓᲠᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲘᲚᲘ.

რედაქტორი

Დ. ᲛᲔᲯᲔᲚᲘᲫᲕᲘᲚᲘ.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

11 Ა�პᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ საბჭოთა კავშირის ევროპული ტენიტორიის აღმოსავლეთ რაიონში საგრძნობლად აცივდა, რამაც შედეგ გავრცელება იწყო სამხრეთით.

თუ 12 აპრილს დასავლეთ საქართველოში ღამით 15-20, დღისით 30-32, აღმოსავლეთ საქართველოში ღამით 5-12, ხოლო დღისით 24-27 გრადუსი იყო, 14 აპრილისათვის ტემპერატურამ დაიწია.

დღეს დასავლეთ საქართველოს სანაპირო რაიონებში მოსალოდნელია წვიმა, რაიონის ხეობაში აღმოსავლეთის ქარი იქროლებს, დაბლობ რაიონებში 13-17, მთებში 5-10 გრადუსი იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 14-15, მთებში 2-7 გრადუსი.

თბილისში მოსალოდნელია მეორე წვიმა, ელჭექი, სუსტი ქარი, ტემპერატურა 16-18 გრადუსი.

15 და 16 აპრილს შიდა ქართლის რაიონებში ღამით მოსალოდნელია ტემპერატურა ნული-2 გრადუსის ფარგლებში.

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ

**ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ